ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა (საპოლიციო) №29 (21.12.2016ნ)

№107

დაბა სტეფანწმინდა „20" დეკემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, გამგებლის **გივი ქირიკაშვილის** (შემდგომში „დამკვეთი"), სახით და მეორეს მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო (შემდგომში „დაცვად" წოდებული), სამმართველოს უფროსის ***ვასილ ჯარიაშვილის*** სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, გამოკვლევის აქტის საფუძველზე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის შენობაში მატერიალური პასუხისმგებლობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა განახორციელოს საქ. შ.ს. მინისტრის ბრძანებით №266 (23.03.2005წ) დამტკიცებული სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების საფუძველზე მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ა-ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (შემდგომში „ობიექტად" წოდებული), ობიექტი მდებარეობს მისამართზე: დაბა სტეფანწმინდა, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N1

1.2. „დამკვეთი" იღებს ვალდებულებას „დაცვას" გადაუხადოს დაცვის მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის მოთხოვნათა მიხედვით. (CPV 79713000)

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 36000 (ოცდათექვსმეტი) ლარს, ხოლო მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს 3000 (სამიათასი) ლარს.

მუხლი 3. დაცვის თანამშრომელთა საშტატო განრიგი და დაცვის რეჟიმი

3.1. ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული „ობიექტის" დაცვას, განახორციელებს საქართველოს შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო: პოლიციის 1 (ერთი) ინსპექტორის და 3 (სამი) უმცროსი ინსპექტორის საშტატო ერთეულით, ყოველდღიურად გამოკვლევის აქტით გათვალისწინებული 24 საათიანი დაცვის რეჟიმით.

მუხლი 4. მხარეთა შორის ანგარიშსწორება

4.1. „დაცვის" მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს 3000,00 (სამი ათას) ლარს, დდგ-ს ჩათვლით, მათ შორის 1 (ერთი) უმცროსი ინსპექტორი 700 (შვიდასი) ლარი და 1 (ერთი) ინსპექტორი 900 (ცხრაასი) ლარი.

4.2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის მოხდება ყოველ საანგარიშო თვის ბოლოს.

4.3. „დაცვის" მომსახურებაზე საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერას უზრუნველყოფს შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო.

მუხლი 5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. „დაცვა" ვალდებულია:
5.1.1. არ გაამჟღავნოს დამკვეთის სამსახურებრივი საიდუმლოება;
5.1.2.„ობიექტის" სპეციფიკიდან გამომდინარე განახორციელოს დაცვა ცეცხლსასროლი იარაღით ან იარაღის გარეშე.
5.1.3. „პოლიციის შესახებ" კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;
5.1.4. მკაცრად დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი ადმინისტრაციულ შენობაში;
5.1.5. არ დაუშვას მოქალაქეები, რომელთაც არ ექნებათ მოწვევა და სათანადო საშვი.
5.1.6. ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე არ იქნენ დაშვებული მოქალაქეები ადმინისტრაციულ შენობაში;
5.2. „დამკვეთი" ვალდებულია:
5.2.1. განახორციელოს პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნათა შესრულება და „დაცვასთან" ერთად იზრუნოს „ობიექტის" დაცვის სრულყოფისათვის;
5.2.2. ობიექტის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში, არ შევიდეს მასში „დაცვის" თანამშრომლების გარეშე და არ დაიწყოს მატერიალურ ფასეულობათა აღწერა;
5.2.3. „დაცვას" 15 დღით ადრე აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს „ობიექტზე" მოსალოდნელი ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება დაცვის უსაფრთხოებას: („ობიექტის" დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვა, მუშაობის რეჟიმის ცვლილება, სამშენებლო სარემონტო სამუშაოების წარმოება და ა.შ.);
5.2.4. „დაცვის" თანამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობით აცნობოს „დაცვას";
5.2.5. „დამკვეთს" ეკრძალება დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დააკავალოს დაცვის თანამშრომლებს იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც არ არის განსაზღვრული მოკვლევის აქტით.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობების შესრულება.

მუხლი 7. მომსახურების მიწოდების ვადა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. მომსახურების მიწოდების ვადაა 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
7.2. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას „ დამკვეთი" ვალდებულია ათი დღით ადრე აცნობოს გადაწყვეტილების შესახებ „დაცვას" წერილობითი ფორმით;
7.3. „დაცვა" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, „დამკვეთის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ერთი თვის სახელშეკრულებო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში.

მუხლი 8. სხვა პირობები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია;

7.2. სადაო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

7.3. ხელშეკრულება შედგენილია სამი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება „დამკვეთთან'', ხოლო ორი „დაცვასთან''.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„ დამკვეთი''

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

ს/კ 241499473

მის: დაბა სტეფანწმინდა ალ.ყაზბეგის N1

გამგებელი ... *[signature]* ...ვივი ქორიკაშვილი

GEORGIA. MUNICIPALITY OF KAZBEGI 241499473

„ დაცვა ''

შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის
მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური
დაცვის პოლიციის სამმართველო

ს/კ 211350928

მიმღების დასახელება – ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბანკის კოდი – TRESGE22

მიმღების სახაზინო კოდი- 707117039

მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №3;

სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი: ...ასი... ...რია... შვილი

MTSKHETA-MTIANETI REGIONAL SECURITY POLICE DEPARTMENT OF MIA GEORGIA 211350928